თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 18 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

(a) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

'000 ლარი	2022	2021
ნავთობქიმიკატების და ნავთობპროდუქტების გაყიდვები	444,321	473,960
შემოსავალი მაღაზიებიდან*	1,746	549
	446,067	474,509

* 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მაღაზიებიდან მიღებული შემოსავალი (549 ათასი ლარი) "სხვა შემოსავლის" სახით აღირიცხა. წარდგენის გასაუმჯობესებლად, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, უკეთესი წარდგენისთვის, აღნიშნული შემოსავლის წყარო შემოსავლად რეკლასიფიცირდა.

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, ძირითადი შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით: მთლიანი შემოსავალი წარმოიქმნება შიდა გაყიდვებიდან.

'000 ლარი	2022	2021
შემოსავლის ძირითადი წყაროები		
შემოსავალი საბითუმო გაყიდვებიდან	269,895	343,844
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან*	174,426	130,116
შემოსავალი მაღაზიებიდან	1,746	549
	446,067	474,509
შემოსავლის აღიარების ვადები		
დროის გარკვეულ მომენტში	446,067	474,509
	446,067	474,509

* შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან მოიცავს 52,152 ათასი ლარის ოდენობით ნავთობქიმიკატების და ნავთობპროდუქტების გაყიდვებს ბარათების და კუპონების საშუალებით (2021: 37,825 ათასი ლარი).

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,272	4,354
ბარათების და კუპონების გაყიდვიდან მიღებული ავანსები	16	(4,446)	(4,082)

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე არ არსებობს სახელშეკრულებო აქტივები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს შეძენილი ბარათებისა და კუპონებისთვის, რომლისთვისაც შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კლიენტი გამოიყენებს ბარათებს ან კუპონებს კომპანიის ბენზინ-გასამართ სადგურებზე.

პერიოდის დასაწყისში, ბარათებისა და კუპონებისთვის მიღებულ ავანსებში აღიარებული 4,082 ათასი ლარი, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის აღიარდა როგორც საცალო გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (2021: 5,176 ათასი ლარი), (იხილეთ ასევე შენიშვნა 16).

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
კომუნალური ხარჯები	948	848
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	655	764
ბანკის საკომისიო	622	518
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	415	61
კომუნიკაციის ხარჯები	373	364
პროფესიული მომსახურების საფასური	357	252
საოფისე მარაგები	316	658
უსაფრთხოება	255	167
საწვავი	197	206
რეკლამა	168	152
დაბალი ღირებულების მქონე/მოკლევადიანი იჯარები	158	157
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	134	46
მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ხარჯები	130	50
დაზღვევა	66	70
როიალტის საფასური	38	405
სხვა	494	274
	5,326	4,992

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 142 ათასი ლარის ოდენობით (2021: 125 ათასი ლარი).

7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

'000 ლარი	2022	2021
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე	393	432
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	5,345	-
ფინანსური შემოსავალი	5,738	432
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	-	(1,074)
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებებით		
შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე*	(2,556)	(2,376)
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(799)	(936)
ფინანსური ხარჯები	(3,355)	(4,386)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	2,383	(3,954)

*საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე მოიცავს 97 ათას ლარს (2021: 88 ათასი ლარი) მიღებული გარანტიისთვის.

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწები	შენობა- ნაგებობები	სანავთობე მოწყობილობები	სხვა	სულ
თვითღირებულება					
2021 წლის 1 იანვარს	12,344	23,270	4,506	2,644	42,764
შესყიდვები	-	635	182	768	1,585
გასვლები	-	(29)	-	(1,604)	(1,633)
2021 წლის 31 დეკემბერს	12,344	23,876	4,688	1,808	42,716
2022 წლის 1 იანვარს	12,344	23,876	4,688	1,808	42,716
შესყიდვები	-	1,023	493	805	2,321
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	(48)	(48)
2022 წლის 31 დეკემბერს	12,344	24,899	5,181	2,565	44,989
დაგროვილი ცვეთა					
2021 წლის 1 იანვარს	-	(16,944)	(2,824)	(2,334)	(22,102)
ცვეთის დარიცხვა	-	(710)	(425)	(356)	(1,491)
გასვლები	-	29	-	1,604	1,633
2021 წლის 31 დეკემბერს	-	(17,625)	(3,249)	(1,086)	(21,960)
2022 წლის 1 იანვარს	-	(17,625)	(3,249)	(1,086)	(21,960)
ცვეთის დარიცხვა	-	(1,167)	(384)	(487)	(2,038)
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	48	48
2022 წლის 31 დეკემბერს	-	(18,792)	(3,633)	(1,525)	(23,950)
საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარს	12,344	6,326	1,682	310	20,662
2021 წლის 31 დეკემბერს	12,344	6,251	1,439	722	20,756
2022 წლის 31 დეკემბერს	12,344	6,107	1,548	1,040	21,039

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მოიცავს სრულად გაცვეთილ ერთეულებს, რომელთა თვითღირებულებაა 24,257 ათასი ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 23,844 ათასი ლარი).

9. მარაგები

'000 ლარი	2022	2021
ნავთობპროდუქტები	15,959	30,975
	15,959	30,975

10. სავაჭრო მოთხოვნები

'000 ლარი	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	9,511	11,464
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(7,239)	(7,110)
	2,272	4,354

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-18 შენიშვნაში.

2021 წლის ივლისამდე, შპს "უნიგრუპი" იყო კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კორპორატიული მომხმარებელი, რომელიც ყიდდა კუპონებსა და ბარათებს საბოლოო მომხმარებლებზე. რადგან უნიგრუპმა ვერ შეძლო დაუფარავი დავალიანების დროულად გადახდა, 2021 წელს კომპანიამ გაწყვიტა ხელშეკრულება შპს "უნიგრუპთან", რამაც საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა გამოიწვია, იხ. ასევე შენიშვნა 18(b).

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	373	423
საბანკო ნაშთები	9,225	16,381
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	9,598	16,804

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-18 შენიშვნაში.

12. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. 2022 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 55,359 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 55,359 ათასი ლარი).

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და გამოშვებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 43,342 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 45,939 ათასი ლარის ოდენობით დაგროვილი ზარალი). მამასადამე, გასანაწილებელი რეზერვები არ ყოფილა ხელმისაწვდომი გასანაწილებლად.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, კომპანია მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

კომპანიის ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2022	2021
სულ ვალდებულებები	41,064	68,493
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(9,598)	(16,804)
წმინდა ვალი	31,466	51,689
სულ კაპიტალი	12,330	9,733
ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბერს	2.6	5.3

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

14. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-18 შენიშვნაში.

'000 ლარი	2022	2021
გრძელვადიანი წილი		
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი	9,750	16,250
	9,750	16,250
მიმდინარე წილი		
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი	6,934	7,060
	6,934	7,060
სულ სესხები და კრედიტები	16,684	23,310

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
კომერციული ბანკისგან მიღებული არაუზრუნველ- ყოფილი სესხი	ლარი	რეფინანსირების განაკვეთი +2%	2025	16,684	16,684	23,310	23,310
სულ პროცენტთან ვალდებულებები				16,684	16,684	23,310	23,310

2021 წლის 5 აპრილს, კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს "ვითიბი ბანკთან", რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო: რეფინანსირების განაკვეთი +2%, დაფარვის ვადით 2025 წელი. ახალი სესხის მთავარი მიზანია დაკავშირებული მხარის კომპანია "Lukinter Finance B.V."-სგან აღებული აშშ დოლარში დენომინირებული სესხის რეფინანსირება, რათა მართოს უცხოური ვალუტის კურსის რყევებით გამოწვეული რისკები. შედეგად, "Lukinter Finance B.V."-სგან აღებული სესხის მთლიანი ნაშთი იქნა დაფარული სს "ვითიბი ბანკისგან" აღებული სესხით (იხ. ასევე შენიშვნა 18 (b)).

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	23,310
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	
სესხების დაფარვა	(6,500)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(6,500)
სხვა ცვლილებები	
ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 7)	2,459
გადახდილი პროცენტი	(2,585)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(126)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	16,684

'000 ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	29,646
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	26,000
სესხების დაფარვა	(34,043)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(8,043)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	1,307
სხვა ცვლილებები	
ვალდებულებებთან დაკავშირებული	
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 7)	2,288
გადახდილი პროცენტი	(1,888)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	400
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	23,310

15. იჯარები

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარის სახით მოქმედებს წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) წლის გავლენა

'000 ლარი	ბენზინ-გასამართი სადგურები	სატრანსპორტო საშუალებები	ბინები	სულ
აქტივები გამოყენების უფლებით				
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	8,246	94	545	8,885
შესყიდვები	-	-	525	525
ჩამოწერა	-	-	(487)	(487)
მოდიფიცირებით გამოწვეული შემცირება	(1,630)	-	-	(1,630)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	6,616	94	583	7,293
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	6,616	94	583	7,293
შესყიდვები	1,385	126	282	1,793
ჩამოწერა	(393)	(95)	(636)	(1,124)
მოდიფიცირებით გამოწვეული შემცირება	(549)	-	-	(549)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	7,059	125	229	7,413
ცვლილება				
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	(62)	(38)	(80)	(180)
ცვლილების დარიცხვა	(1,879)	(33)	(514)	(2,426)
ჩამოწერა	-	-	388	388
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	(1,941)	(71)	(206)	(2,218)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(1,941)	(71)	(206)	(2,218)
ცვლილების დარიცხვა	(1,621)	(44)	(510)	(2,175)
ჩამოწერა	393	95	608	1,096
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(3,169)	(20)	(108)	(3,297)
საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 1 იანვარს	8,184	56	465	8,705
საბალანსო ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბერს	4,675	23	377	5,075
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერს	3,890	105	121	4,116

'000 ლარი	ბენზინ-გასამართი სადგურები	სატრანსპორტო საშუალებები	ბინები	სულ
საიჯარო ვალდებულება				
საიჯარო ვალდებულება				
2021 წლის 1 იანვარს	(10,117)	(72)	(409)	(10,598)
შესყიდვები	-	-	(526)	(526)
პროცენტის დარიცხვა	(911)	(9)	(21)	(941)
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	1,850	39	523	2,412
გადახდილი პროცენტი	911	9	21	941
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	82	6	12	100
მოდულირებით გამოწვეული შემცირება	1,630	-	-	1,630
საიჯარო ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	(6,555)	(27)	(400)	(6,982)
საიჯარო ვალდებულება				
2022 წლის 1 იანვარს	(6,555)	(27)	(400)	(6,982)
შესყიდვები	(1,385)	(126)	(282)	(1,793)
პროცენტის დარიცხვა	(783)	(3)	(13)	(799)
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	1,877	42	462	2,381
გადახდილი პროცენტი	783	3	13	799
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	64	10	28	102
საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	-	-	28	28
მოდულირებით გამოწვეული შემცირება	549	-	-	549
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	(5,450)	(101)	(164)	(5,715)

2022 წლის 1 მარტიდან, ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები 7.5 ათასი ლარით შემცირდა, ხოლო 2022 წლის 1 ივლისიდან, ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები კიდევ შემცირდა, 7.5 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება 549 ათასი ლარით შემცირდა. მომავალი საიჯარო გადახდების დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი 15% -ით განისაზღვრა (2021: 12.5% ლარისთვის).

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2022	2021
იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში		
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	799	941

(iii) ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2022	2021
საიჯარო ვალდებულებების გადახდები (-)	(2,381)	(2,412)
გადახდილი პროცენტი (-)	(799)	(941)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(3,180)	(3,353)

16. მიღებული ავანსები

'000 ლარი	2022	2021
ბარათების და კუპონების გაყიდვიდან მიღებული ავანსები	4,446	4,082
სხვა მიღებული ავანსები	6	2,062
	4,452	6,144

ბარათების და კუპონების გაყიდვიდან მიღებული ავანსები წარმოადგენს საწვავის ბარათებსა და კუპონებს, რომლებიც გაიყიდა, მაგრამ ჯერ არ ყოფილა გამოყენებული საბოლოო მომხმარებლების მიერ.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	4,902	24,514
სხვა სავაჭრო ვალდებულებები და დარიცხვები	8,554	6,449
	13,456	30,963

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-18 შენიშვნაში.

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის მიდგომები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება კლიენტების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

'000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,272	4,354
ფულადი სახსრები ბანკებში	11	9,225	16,381
		11,497	20,735

გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში შემდეგნაირად:

'000 ლარი	2022	2021
გაუფასურების ზარალების ანარიცხი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ სავაჭრო მოთხოვნებზე	129	4,517

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. კომპანიის მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, იმ ინდუსტრიის დეფოლტის რისკის ჩათვლით, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, ნაკლები გავლენა აქვთ საკრედიტო რისკზე. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის შეფასება მოიცავს გარე რეიტინგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რიგ შემთხვევაში საბანკო მონაცემებს. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 39% (2021 წელს: 23%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

კომპანიას დიდი ხნის ურთიერთობა აქვს მის ძირითად მომხმარებლებთან და ზარალს იშვიათად ჰქონია ადგილი. კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, ისინი საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ, გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობა, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად კომპანიის საბითუმო მომხმარებლებს უკავშირდება.

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნა და სახელშეკრულებო აქტივები, რომლებისთვისაც არ არის ზარალის რეზერვი აღიარებული უზრუნველყოფის არსებობის გამო.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებისათვის საანგარიშგებო თარიღისთვის კლიენტების სახეობების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
საბითუმო მომხმარებელი	56	2,596
საცალო მომხმარებლები	2,216	1,758
	2,272	4,354

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	2022	2022	2022
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი დაბალი რისკი	2,123	-	2,123
მაღალი რისკი	-	7,388	7,388
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	2,123	7,388	9,511
ზარალის რეზერვი	(2)	(7,237)	(7,239)
	2,121	151	2,272

'000 ლარი	2021	2021	2021
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი დაბალი რისკი	4,349	-	4,349
მაღალი რისკი	-	7,115	7,115
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,349	7,115	11,464
ზარალის რეზერვი	(6)	(7,104)	(7,110)
	4,343	11	4,354

2021 წლის ივლისამდე, შპს "უნიგრუპი" იყო კომპანიის მთავარი კორპორატიული მომხმარებელი, რომელიც ყიდდა კუპონებსა და ბარათებს საბოლოო მომხმარებლებზე. რადგან უნიგრუპმა ვერ შეძლო დაუფარავი დავალიანების გადახდა, კომპანიამ გაწყვიტა ხელშეკრულება შპს "უნიგრუპთან", რამაც მომხმარებლის საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა გამოიწვია. შპს "უნიგრუპს" არ განუხორციელებია კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვები 2021 წლის აგვისტოდან, შესაბამისად სრულად აღიარდა ანარიცხი წმინდა დაქვემდებარების ოდენობისთვის, ანუ ნაშთის მთლიანი საბალანსო ღირებულებისთვის, შპს "უნიგრუპისთვის" გადახდილი ავანსების გამოკლებით. ამჟამად, კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა მის ყოფილ კლიენტთან, იხ. ასევე შენიშვნა 19 (b).

კომპანია განსაზღვრავს ზემოაღნიშნულ ხარისხებს შემდეგნაირად:

დაბალი რისკი - კონტრაქტებს, უახლოეს პერიოდში, აქვთ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების ძლიერი უნარი და არ არის სავარაუდო, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. გარე საკრედიტო შეფასების Ba2-დან B3-მდე („Moody’s“) ეკვივალენტური; საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი დაბალი რისკის ხარისხისთვის არის დაახლოებით 0.1% (2021: 0.1%).

მაღალი რისკი - კონტრაქტებს, უახლოეს პერიოდში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი და სავარაუდოა, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. გარე საკრედიტო შეფასების Ca-C („Moody’s“) ან ზარალის 100%-იანი განაკვეთის ეკვივალენტური. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი მაღალი რისკის ხარისხისთვის არის დაახლოებით 98% (2021: 99%).

მოძრაობა გაუფასურების ზარალების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

’000 ლარი	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	7,110	2,593
დარიცხვა წლის განმავლობაში	129	4,517
ნაშთი წლის ბოლოს	7,239	7,110

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, მანამ სანამ კომპანია არ დარწმუნდება, რომ ვერ მიიღებს დაუფარავ ოდენობას; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

ფულადი სახსრები ბანკში

კომპანიას, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქვს 9,225 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების ნაშთები ბანკში (2021 წლის 31 დეკემბერი: 16,381 ათასი ლარი), რაც წარმოადგენს მის მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას აღნიშნულ აქტივებზე. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B რეიტინგი. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს ბანკში აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია მართავს მის ლიკვიდურობის მოთხოვნებს, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით, ძირითადი ბიზნეს საქმიანობებიდან დაფინანსების ხელმისაწვდომობის შენარჩუნების და აუცილებლობის შემთხვევაში, მომწოდებლებთან გადახდის ვადების გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებების წარმოების გზით.

ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების პროგნოზებს. კომპანიას დადგენილი აქვს წლიური ბიუჯეტირების პროცესი მის მშობელ კომპანიასთან, რაც მოიცავს ფულადი ნაკადების პროგნოზებს ყოველთვიურ საფუძველზე. ფულადი სახსრების მოსალოდნელი დანაკლისის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი დაფინანსება მშობელი კომპანიისგან, ბიუჯეტირების პროცესის ნაწილის სახით. ბიუჯეტი მიმოხილულია მმართველი საბჭოს მიერ და დამტკიცებულია მშობელი კომპანიის მიერ. ბიუჯეტი ყოველთვიურად არის განახლებული ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე. ამასთანავე, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა წვდომა სს "ვითიბი ბანკისგან" აღებულ, 9,316 ათასი ლარის ოდენობით გამოუყენებელ საკრედიტო ხაზზე (2021 წლის 31 დეკემბერი: სს "ვითიბი ბანკი", 3,250 ათასი ლარი), რომლის გატანაც შესაძლებელია მოკლევადიანი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროცენტი საკრედიტო ხაზის გამოყენებულ ოდენობაზე გადასახდელია შემდეგი განაკვეთით: რეფინანსირების განაკვეთი +2%, წლიური. საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადაა 2025 წლის 4 აპრილამდე, იხილეთ ასევე შენიშვნა 14.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით: მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობით.

31 დეკემბერი 2022

'000 ლარი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	სახელშეკრულებო		მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები					
სესხები და კრედიტები საიჯარო	16,684	19,153	-	4,256	4,035	7,453	3,409
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	5,715	6,754	-	1,516	1,516	2,905	817
ვალდებულებები	13,456	13,456	13,456	-	-	-	-
		<u>39,363</u>	<u>13,456</u>	<u>5,772</u>	<u>5,551</u>	<u>10,358</u>	<u>4,226</u>

31 დეკემბერი 2021 '000 ლარი	სახელშეკრულებო						
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	23,310	28,220	-	4,606	4,461	8,291	10,862
საიჯარო	6,982	8,482	-	1,597	1,429	2,674	2,782
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,963	30,963	30,963	-	-	-	-
		67,665	30,963	6,203	5,890	10,965	13,644

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე შესყიდვების და სესხების იმ პოზიციებზე, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი (პირობითი ოდენობების მიხედვით):

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2022	აშშ დოლარში დენომინირებული 2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,405	8,227
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,056)	(24,526)
საიჯარო ვალდებულებები	(215)	(336)
წმინდა დაქვემდებარება	134	(16,635)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
	2022	2021	2022	2021
1 აშშ დოლარი	2.9156	3.2209	2.7020	3.0976

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გამყარება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა (შეამცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს დაბეგვრამდე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ცვლილებაზე, რომელსაც კომპანია მიიჩნევს გონივრულად შესაძლებელს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება. ანალიზი ჩატარებულია იგივე საფუძველზე 2021 წლისთვის.

სოფო კიკნაძე

	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(13)	13
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	1,664	(1,664)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ძირითადად, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა ექვემდებარებოდეს კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, უნდა იყოს თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი კომპანიისთვის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
'000 ლარი		
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
საიჯარო ვალდებულებები	5,715	6,982
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
სესხები და კრედიტები	16,684	23,310

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს დაბეგვრამდე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

	მოგება ან ზარალი	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
'000 ლარი		
2022		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(167)	167
2021		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(233)	233

სოფო კაპანაძე

19. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო დავები

2021 წლის 9 აგვისტოს, კომპანიამ შეიტანა საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „უნიგრუპის“ წინააღმდეგ, შპს „უნიგრუპისთვის“ 2020-2022 წლებში მიწოდებული საწვავის ღირებულების დაფარვის მოთხოვნით. მოთხოვნის ჯამურმა ოდენობამ, დარიცხული ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით, 9,553 ათასი ლარი შეადგინა.

2021 წლის 6 ოქტომბერს, შპს „უნიგრუპმა“ შეიტანა შეგებებული სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ 2017-2021 წლებში დაკარგული მოგების ანაზღაურების მოთხოვნით. მოთხოვნილი დაკარგული მოგების საერთო ოდენობამ 7,124 ათასი ლარი შეადგინა.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ მოიგო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამის შემდეგ შპს „უნიგრუპმა“ გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2023 წლის 29 მარტის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებების სამართლებრივი ანალიზისა და სადავო თანხების წმინდა დაქვემდებარების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანია ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება, რაც ეკონომიკური რესურსების გადინებას გამოიწვევს.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია იყო "LITASCO SA", რომელმაც მხარეებს შორის დადებული საკუთრების წილის გადაცემის ხელშეკრულების თანახმად "Lukoil Europe Holding B.V." 2020 წლის დეკემბერში ჩაანაცვლა. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია და კომპანიაზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის "საჯარო სააქციო საზოგადოება ლუკოილი", რომელიც აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მის ვებგვერდზე არის განთავსებული.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებსა და გასამრჯელოებში:

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	5,237	1,306

2022 წლის ივლისში, მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა გაეცა 5,047 ათასი ლარის ოდენობით ერთჯერადი ბონუსები (რომელიც შეტანილია „ხელფასებსა და გასამრჯელოებში“) კომპანიის ხელმძღვანელობაზე 2022 წელს გაწეული მომსახურებისთვის, საიდანაც 4,237 ათასი ლარი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე არის გაცემული.

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2022	2021	2022	2021
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
პირდაპირი მშობელი კომპანია	701	-	-	-
საბოლოო მშობელი კომპანია	1,567	555	42	330
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	332,109	372,340	4,861	24,184
სესხები და კრედიტები: (შენიშვნა 14 (b))				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	-	(30,793)	-	-
სესხთან დაკავშირებული ხარჯები: იმავე დონის შვილობილი საწარმოები (პროცენტი)	-	407	-	-

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი დაკავშირებული მხარის ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

21. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

22. შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა გამოვლენილი შემდგომი მოვლენები, რომელთა წარდგენაც არის აუცილებელი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

(a) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ხასიათისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

შემოსავლის წყაროები	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის ფარგლებში
ნავთობქიმიკატების და ნავთობპროდუქტების გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით/საკრედიტო ბარათით	საცალო გაყიდვების შემთხვევაში, კლიენტზე საქონელი გაყიდვის წერტილში (POS) ბენზინ-გასამართ სადგურებზე იყიდება. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება კომპანიის მიერ საქონელზე უფლებების კლიენტზე გადაცემის დროს საქონლის გაყიდვის წერტილში ფულადი სახსრების/საკრედიტო ბარათით გადახდის სანაცვლოდ. ამასთანავე, კომპანია იღებს შემოსავალს საბითუმო კლიენტებისგან. საქონელი იყიდება მომხმარებლებზე გაყიდვების წერტილში პირდაპირ საწყობიდან. კომპანია აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, როდესაც ის საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს გაყიდვების წერტილში ანგარიშგაქტურის გაცემის სანაცვლოდ. გაყიდვების ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან საფინანსო კომპონენტს.	შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც საცალო ან საბითუმო მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს გაყიდვების წერტილში. კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულებას გამოკლებული ფასდაკლებები და სხვა ტიპის ფასდათმობები, დღგ და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადები.
ნავთობქიმიკატების და ნავთობპროდუქტების გაყიდვები ბარათების და კუპონების საშუალებით	ამასთანავე, კომპანია გამოიმუშავებს საცალო შემოსავალს ბარათების და კუპონების გაყიდვების საშუალებით. თავდაპირველად, ბარათები და კუპონები დაბეჭდილია კომპანიის წარმომადგენლის მიერ, შემდგომ ისინი გაყიდულია კლიენტებზე და შესაბამისი ფულადი სახსრების შემოსულობები აღიარდება მიღებული ავანსების სახით. კომპანია აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, როდესაც ის საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს გაყიდვების წერტილში, ბარათების ან კუპონების ნაშთის გამოყენების სანაცვლოდ.	შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს გაყიდვების წერტილში. კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულებას გამოკლებული გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებები, დღგ და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადები.

ლოკოილ-ჯორჯია

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

კომპანიის მიერ სოციალურ პროგრამებში განხორციელებული შენატანების ის ოდენობა, რომელიც გამიზნულია საზოგადოების სასარგებლოდ და არ არის ლიმიტირებული კომპანიის თანამშრომლებზე, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში.

2016 წლის 31 დეკემბერს მიღებულ კანონპროექტს ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტი დაბეგვრადი მოგების გამომუშავებიდან მისი განაწილების მომენტამდე.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშევა.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება "ფიფო" (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. 2009 წლის 1 იანვარს (კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი) კონკრეტული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრა ამ თარიღისთვის მათ სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ჯგუფის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კომპანია მიიღებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- | | |
|---------------------------|-------------|
| – შენობა-ნაგებობები | 10-15 წელი; |
| – სანავთობე მოწყობილობები | 5-7 წელი |
| – სხვა | 3-7 წლამდე |

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადებისა და ნარჩენი ღირებულებების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება (შენიშვნა 8).

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას „კომპანიას“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 10) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11), რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ განხორციელებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

ლუკოილ-ჯორჯია

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურირება იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, „კომპანიას“ აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

(j) საწესდებო კაპიტალი და დამატებითი გადახდილი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი და დამატებითი გადახდილი კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(k) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით. თუმცა, ქონების იჯარებისთვის კომპანია ირჩევს არ განაცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და აღრიცხოს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტები ერთიანი საიჯარო კომპონენტის სახით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(I) მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები უკავშირდება ბარათების და კუპონების გაყიდვას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნავთობპროდუქტების და ნავთობქიმიკატების შესაძენად. მიღებული ანაზღაურება თავდაპირველად აღიარდება ვალდებულების სახით მაშინ, როდესაც მომხმარებელი იძენს ბარათს ან კუპონს. შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბარათი ან კუპონი გამოიყენება საწვავის ბენზინ-გასამართ სადგურებზე შესაძენად.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).

2020 წელს გამოშვებული შესწორებები, მიზნად ისახავს იმ მოთხოვნების დაზუსტებას, რომლებიც განსაზღვრავს არის თუ არა ვალდებულება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და გამოიყენება წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ. თუმცა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გადაწყვიტა შეეთავაზებინა შემდგომი ცვლილებების შეტანა ბასს 1-ში და 2020 წლის შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი არაუადრეს 2024 წლის 1 იანვრამდე გადაეტანა.

სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები;
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის შესწორებები);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორებები).

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N230978269



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

20.07.2023 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV,
სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

88389954973723



მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში გამოწმე ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830) დამოწმდა მისი ხელმოწერის ნამდვილობა დოკუმენტის - შპს "ლუკოილ-ჯორჯია"-ს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე.


მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 2 ეგზემპლარზე შესრულებული 84 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 252 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.დ.გ 45 ლარი და 36 ლარი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 39-ე მუხლისა).

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება—გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შეკვეთილია ღია დათმობისათვის
შეკვეთილია
ნოტარიუსი
ლანა მგალობლიანი



შპს “ლუკოილ-ჯორჯია“



2022 წლის

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ.....	3
2. პროდუქტი	4
3. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა	5
ფინანსური მაჩვენებლები	5
ოპერაციები	6
4. კომპანიის სტრატეგია და სამომავლო მიზნები	7
5. რისკების მართვა.....	8

2023 წლის 15 მაისი

2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის შესახებ

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2002 წელს და განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა საუკეთესო ხარისხის საწვავის მომწოდებლისა და საიმედო პარტნიორის სახელი. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს ბაზარზე შევთავაზოთ საუკეთესო პროდუქტი და მომსახურება.

კომპანია არსებობის მანძილზე მოემსახურა და ემსახურება ეკონომიკურ აგენტებს საწვავის საბითუმო მიწოდების კუთხით. ამავდროულად, კომპანიამ საცალო რეალიზაციის მიმართულებაში მიზანმიმართული ინვესტირებით განახორციელა საკუთარი ავტოგასამართი სადგურების ქსელის რეზერენდინგი, რამაც საშუალება მოგვცა საცალო მომხმარებლისთვის გაგვეწია მაღალი ხარისხის მომსახურება.

კომპანიას გააჩნია საკუთარი - 24 და იჯარით აღებული - 26 ავტოგასამართი სადგური, ასევე -10 ფრანჩაიზინგის უფლებით მომუშავე ავტოგასამართი სადგური, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა რეგიონში.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაზე მომსახურების ეფექტურობის ზრდის მიზნით, ვახორციელებთ რა ინვესტიციებს ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად, არსებულის მოდერნიზებისთვის და მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად მოკლე დროში დაკმაყოფილების მიმართულებით.

კომპანიას 2020 წლის დეკემბრიდან ჰყავს ერთი დამფუძნებელი კომპანია LITASCO SA.

LITASCO SA არის სააქციო საზოგადოება (société anonyme), დაფუძნებული და რეგისტრირებული შვეიცარიის კანონმდებლობით, რეგისტრირებული ნომრით CHE-100.738.922. რეგისტრირებული ოფისი განთავსებულია ჟენევაში, შემდეგ მისამართზე: 3 Kazem-Radjavi, 1202 Geneva, Switzerland.

კომპანია წარმოადგენს კომპანია „LUKOIL“-ის არაექსკლუზიურ ლიცენზიანტს, რაც გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის, მომხმარებლისა და თანამშრომლების წინაშე - ვიყოთ მაღალი კორპორატიული მომსახურებისა და სტანდარტების ორგანიზაცია. ჩვენი პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე:

- პერსონალი - ყველაფერი, რასაც ქმნის კომპანია, ხორციელდება ადამიანების, ჩვენი თანამშრომლების მიერ ადამიანებისათვის - ჩვენი მომხმარებლებისთვის. კომპანიის წარმატებულ მუშაობაზე ყოველდღიურად ზრუნავს ხუთასამდე თანამშრომელი.
- ეკოლოგია და ტექნოლოგია - ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით განუხრელად ვიცავთ გარემოს დაცვისათვის ყველა პირობასა და მოთხოვნას, რაც განპირობებულია ბაზარზე მაღალი, ევროპული ხარისხის პროდუქტების მიწოდებით მოწინავე ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და სისტემების მეშვეობით;

- კორპორატიული სტანდარტი - კომპანია საქმიანობას წარმართავს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ღია, პატიოსანი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

2. პროდუქტი

კომპანია შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ წარმოადგენს საჯარო სააქციო საზოგადოება კომპანია „LUKOIL“-ის არაექსკლუზიურ ლიცენზიანტს, რის საფუძველზეც გააჩნია განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშნებზე, რომლებიც გამიზნულია საჯარო სააქციო საზოგადოება „LUKOIL“-ის პროდუქციის, საქონლის და მომსახურების ინდივიდუალიზაციისთვის (აღნიშვნისთვის) და შესრულებულია სერტიფიკატების შესაბამისად, რომლებიც გაცემულია:


ა) საქართველოს საპატენტო უწყების მიერ №№ 11683, 11684, 11685 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.04.1998 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 4, 7, 20, 35, 36, 37, 39, 40, 42 კლასების საქონლისა და მომსახურების აღსანიშნავად;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ (შემდგომში - IB WIPO) № 980745 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად, № 1001044 პრიორიტეტით, დათარიღებული 20.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ პროდუქტს - სუპერი, პრემიუმი, ევროდიზელი, ევრორეგულარი და დიზელი. ყველა პროდუქტი შეესაბამება ევრო – 5-ის სტანდარტს.

3. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის 2022 წლის ორგანიზაციული სტრუქტურა:



კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა არ რეგულირდება რაიმე სპეციფიკური კანონმდებლობით. არსებობს მხოლოდ სამთავრობო დადგენილებები და ზოგადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას.

ფინანსური მაჩვენებლები

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია - პატარა ბაზარზე მრავალი დიდი და მცირე კომპანია ეწევა საქმიანობას. საქმიანობის ციკლი არ ხასიათდება სეზონურობით - პროდუქტზე მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაშია.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება. 2022 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 446,067 ათას ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება 2,597 ათას ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ღირებულება შეადგენს 25,477 ათას ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი - 12,330 ათასი ლარია.

კომპანიის აქტივები, კაპიტალი და ვალდებულებები

'000 ლარი	2022 წელი	2021 წელი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	25,477	25,979
მიმდინარე აქტივები	27,917	52,247
სულ აქტივები	53,394	78,226
კაპიტალი და ვალდებულებები		
სულ კაპიტალი	12,330	9,733
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,175	20,971
სულ მიმდინარე ვალდებულებები	27,889	47,522
სულ ვალდებულებები	41,064	68,493
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	53,394	78,266

კომპანიის მოგება ან (ზარალი)

'000 ლარი	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	214	5,367
წმინდა ფინანსური ხარჯი	2,383	(3,954)
მოგება / ზარალი დაბეგვრამდე	2,597	1,413
წლის მოგება / ზარალი და მთლიანი სრული მოგება / ზარალი	2,597	1,413

ოპერაციები

წარმოების ტექნოლოგია კომპანიას არ გააჩნია, რამდენადაც ახდენს მზა პროდუქტის იმპორტს და მის შემდგომ რეალიზაციას. ბუღალტრული აღრიცხვა არ არის რაიმე განსხვავებული პრინციპით გამორჩეული - კომპანია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის ძირითადი მომწოდებელია კომპანია LITASCO Central Asia, რომელიც LUKOIL-ის ჯგუფში შემავალი დაკავშირებული კომპანიაა.

კომპანიას მართავს დირექტორი ყველა იმ სტანდარტული უფლება-მოვალეობებით, რაც განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „კანონით მეწარმეთა შესახებ“. კომპანიას გააჩნია საფინანსო-ბუღალტრული, ლოჯისტიკის და ტექნიკური განყოფილებები. კომპანიის სტრუქტურა შედგება ასევე ავტო-გასამართი სადგურებისგან, რომლებსაც ადგილობრივ მართავს უწევენ ამ სადგურების მენეჯერები. მათ დაქვემდებარებაში არიან ადგილობრივი თანამშრომლები - ოპერატორები და დამლაგებლები. მენეჯერები ანგარიშვალდებულნი არიან სათაო ოფისთან.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. კომპანიის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერები ანგარიშს ადგენენ ყოველდღიურად სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ანგარიშში ასახულია ყოველდღიური რეალიზაცია ნაღდი ანგარიშსწორებით, კორპორატიული და საკრედიტო ბარათებით. ამავდროულად ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სასაქონლო ნაშთების შესახებ. მათ მიერვე ხორციელდება ყოველდღიური საწვავის ინვენტარიზაცია. ანგარიშის უტყუარობასა და შეცდომების გამორიცხვას სათაო ოფისის აკონტროლებს საწვავის გამშვებ სვეტებზე ჩაშენებული

მრიცხველების მიხედვით. მრიცხველები დალუქულია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლუქებით. დალუქვას აწარმოებს სტანდარტიზაციის სახელმწიფო სპეციალური სამსახური. დალუქვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აგს-ს ეკრძალება ოპერირება. აგს-ის მენეჯერების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია შემდგომ მუშავდება სათაო ოფისში ბუღალტრულ პროგრამაში.

ლოჯისტიკის სამსახური კომპანიის დირექტორის დავალებით უზრუნველყოფს სხვადასხვა მომწოდებლებთან და გადამზიდავ კომპანიებთან ურთიერთობას. მისი ფუნქციაა საწვავით აგს-ების უწყვეტი და დროული მომარაგება და სხვადასხვა ბაზებში საქონლის ნაშთების კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის, რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშვება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების და ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ჟურნალებში მანუალური ჩანაწერების სახით. სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მონაცემები გენერირდება კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმებში ავტოგასამართ სადგურების მენეჯერების მიერ. ასევე ელექტრონული სახით მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან შემოსავლების სამსახურის საიტზე. შემდეგ ეს მონაცემები მუშავდება საბუღალტრო პროგრამაში.

კონტროლი ხორციელდება საწვავის გამშვებ სვეტებზე არსებული მრიცხველების მეშვეობით, რომლებიც დალუქულია შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტიზაციის სამსახურის მიერ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სათანადო პლომბებით, რომლის მკაცრი აღრიცხვაც ხორციელდება შემოსავლების სამსახურის საიტზე ელექტრონულად. არასტანდარტული ან უნებართვო ოპერაციები შეუძლებელია. რეალიზაციიდან შემოსული თანხები ინკასირდება მომსახურე ბანკში. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით ნაღდი ფულის მოძრაობა აკრძალულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე.

მომზადებული ინფორმაციის დამუშავება ხდება სტანდარტული საფინანსო-ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ შიდა გადაწყვეტილებების მიღების და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის პროცესში.

კომპანია აწარმოებს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს.

4. კომპანიის სტრატეგია და სამომავლო მიზნები

კომპანიას დაგეგმილი არ აქვს ამ ეტაპზე განახორციელოს სხვა საწარმოს შეძენა ან საკუთარის გასხვისება. კომპანიის მიზანია, რომ შეინარჩუნოს არსებული ბაზრის წილი და ბენზინგასამართი სადგურების ქსელი კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების ხარჯზე.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით საკუთარ ექსპლუატაციაში შევიდა ავტო გასამართ სადგურებზე არსებული 10 მაღაზია. გარდა ამისა 5 მაღაზია, რომელიც გადაცემული იყო იჯარით, დაბრუნდა საკუთარ ექსპლუატაციაში. ასევე, უმეტეს აგს-ებზე გარე სივრცეში მიმდინარეობს უალკოჰოლო სასმელების რეალიზაცია. სამომავლო მიზნებშია მაღაზიათა ქსელის გაზრდა, ტალონების და ლოიალურობის პროგრამის დანერგვა.

5. რისკების მართვა

ჩვენი კომპანია დაარსების დღიდან ზრუნავს როგორც საკუთარ ქონებაზე, ასევე მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობაზე. თანამშრომლობით სადაზღვევო კომპანიასთან - „არდი“, „ალდაგი“, „ირო“ და „თიბისი დაზღვევა“, სადაც ვაზღვევთ თანამშრომლებს, კომპანიის ქონებას და ასევე მესამე პირების წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

ხელმძღვანელობა იღებს სრულ პასუხისმგებლობას კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის, სათანადო რისკის შეზღუდვების, კონტროლის უზრუნველყოფის, რისკების მონიტორინგის და შეზღუდვების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიხილება რეგულარულად, საბაზრო პირობების და კომპანიის საქმიანობის ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია, ტრეინინგისა და ხელმძღვანელობის სტანდარტების და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინიზებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს და ვალდებულებას.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,272	4,354
ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები	9,225	16,381
	11,497	20,735

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები, რომლებიც მოიცავს პროცენტის გადახდასაც. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გამოყენებული ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

31 დეკემბერი 2022 ‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდ ე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	16,684	19,153	-	4,256	4,035	7,453	3,409
საიჯარო ვალდებულებები	5,715	6,426	-	1,352	1,352	2,905	817
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,456	13,456	13,456	-	-	-	-
		39,035	13,456	5,608	5,387	10,358	4,226

31 დეკემბერი 2021 ‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულზე ბო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდ ე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	23,310	28,220	-	4,606	4,461	8,291	10,862
საიჯარო ვალდებულებები	6,982	8,482	-	1,597	1,429	2,674	2,782
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,963	30,963	30,963	-	-	-	-
		67,665	30,963	6,203	5,890	10,965	13,644

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე იყო შემდეგი (თანხები წარმოდგენილია პირობითი ოდენობით):

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2022 წელი	აშშ დოლარში დენომინირებული 2021 წელი
სესხები და კრედიტები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(24,526)
საიჯარო ვალდებულებები	(215)	(336)
წმინდა დამოკიდებულება	(215)	(24,862)

31 დეკემბერს და წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი	
	2022	2021	2022	2021
1 აშშ დოლარი	2.9161	3.2209	2.7020	3.0976

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 15 მაისს.

დირექტორი:

ზაურ ჯალილოვი

.....

31 დეკემბერი 2021 ‘000 ლარი	საბალანსო დირებულე ბა	სახელშეკრულე ბო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდ ე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	23,310	28,220	-	4,606	4,461	8,291	10,862
საიჯარო ვალდებულებები	6,982	8,482	-	1,597	1,429	2,674	2,782
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,963	30,963	30,963	-	-	-	-
		67,665	30,963	6,203	5,890	10,965	13,644

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე იყო შემდეგი (თანხები წარმოდგენილია პირობითი ოდენობით):

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2022 წელი	აშშ დოლარში დენომინირებული 2021 წელი
სესხები და კრედიტები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(24,526)
საიჯარო ვალდებულებები	(215)	(336)
წმინდა დამოკიდებულება	(215)	(24,862)

31 დეკემბერს და წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი	
	2022	2021	2022	2021
1 აშშ დოლარი	2.9161	3.2209	2.7020	3.0976

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 16 მაისს.

დირექტორი:

ზაურ ჯალილოვი

